საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრანიტოიდები

გრანიტოიდები, სიღრმული სრულკრისტალური მჟავა ქანების საერთო სახელწოდება. გ-ის ერთ-ერთი გავრცელებული სახესხვაობაა გრანიტი.

იგი შედგება ორთოკლაზის ან მიკროკლინის, მჟავე პლაგიოკლაზის, კვარცის, ქარსისა და ამფიბოლის, იშვიათად, პიროქსენისაგან; თანაბარმარცვლოვანია ან პორფირისებრი, ზოგჯერ გნაისისებრ-ზოლებრივი. წარმოშობის მიხედვით განარჩევენ მაგმურ, მეტასომატურ, პალინგენეზისურ, ანატექსისურსა და სხვა სახეობის გრანიტებს. იყენებენ საშენ მასალად და შენობების მოსაპირკეთებლად, აგრეთვე მონუმ. ქანდაკებისათვის.

საქართველოში გ. გავრცელებულია კავკასიონის ქედის ღერძულ ნაწილში (ზემო სვანეთი, ზემო რაჭა, დარიალის ხეობა), კავკასიონის სამხრ. ფერდობზე, იურულისწინა კრისტ. ფუნდამენტის შვერილებში (ძირულის მასივი, ხრამის მასივი, ლოქის მასივი).

ვ. ჯავრიშვილი